<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 167-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 167. ცეცხლსასროლი იარაღიდან, გაზის (აირის), ხმოვანი (აკუსტიკური) ან სასიგნალო იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებსა და საამისოდ გამოუყოფელ ადგილებში ან დადგენილი წესის დარღვევით

1. ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასევე, გაზის (აირის), ხმოვანი (აკუსტიკური) ან სასიგნალო იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებსა და საამისოდ გამოუყოფელ ადგილებში, აგრეთვე გამოყოფილ ადგილებში, მაგრამ დადგენილი წესის დარღვევით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იარაღისა და საბრძოლო მასალის კონფისკაციით ან უამისოდ.

2. იმავე ქმედების ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართალდარღვევისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, იარაღის და საბრძოლო მასალის კონფისკაციით.“.

2. 181-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის ნებართვის მქონე პირის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა, ასევე, სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვის მქონე პირის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების წესის დარღვევა დასახლებულ პუნქტში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 500 მეტრის რადიუსში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი იმავე სამართალდარღვევისათვის, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, იარაღის და საბრძოლო მასალის კონფისკაციით.

4. ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის შენახვის, გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა მისი მოვლა-დაცვისათვის პასუხისმგებელი საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაკის მიერ ან მათ მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის არადანიშნულებისამებრ გამოყენება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800-დან 1000 ლარამდე.“.

3. 181^{2} მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 181^{3} მუხლი:

„მუხლი 181^{3}. გაზის (აირის) იარაღის ტარების წესის დარღვევა, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის ტარება ან ასეთი იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა

1. გაზის (აირის) იარაღის ტარების წესის დარღვევა, -
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იარაღის კონფისკაციით.
2. ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის ტარება, -
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იარაღის კონფისკაციით.
3. ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის წესის დარღვევა, -
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იარაღის კონფისკაციით.
4. ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში, -
გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იარაღის კონფისკაციით.“.

4. 182^{1} მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. დასახლებულ ადგილას სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღიდან სროლა –
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, პნევმატური იარაღის კონფისკაციით.“.

5. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43^{1}–44^{3}, 44^{5}, 44^{7}–44^{11}, 45-ე–46^{4}, 48-ე, 49-ე, 50^{1}, 51-ე–55^{4}, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^{2}–მე-60, 60^{3}–61^{1}, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71^{1}, 72^{1}–78-ე, 79^{1}–81-ე, 82^{1}, 82^{2}, 82^{5}, 84-ე–86-ე, 87^{1}–89^{3}, 91^{2}, 91^{3}, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^{1}, 100^{2}, 103^{1}, 104-ე და 105^{1} მუხლებით, 127^{1} მუხლის მე-5 ნაწილით, 128^{1}–128^{5}, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^{1}, 148-ე, 150-ე, 150^{1}, 151-ე, 152-ე, 152^{2}, 153-ე, 153^{1} და 153^{3}–153^{5} მუხლებით, 153^{6} მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154^{2}, 155^{1} და 155^{2} მუხლებით, 155^{3} მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155^{6} მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით, 155^{7}–155^{11}, 156-ე, 157^{1}–158^{1}, 159-ე, 159^{1}, 159^{4}–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^{4}, 165^{1}–165^{3}, 166-ე და 170^{1} მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^{2}–171^{4} მუხლებით, 171^{5} მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6 და მე-8–მე-16 ნაწილებით, 172-ე, 172^{4}–172^{6}, 173-ე, 173^{4}–173^{7}, 173^{9}, 173^{12}, 173^{14}, 173^{15} და 174^{1} მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^{1} და 175^{2} მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^{8}, 177^{9}, 177^{11} და 177^{12} მუხლებით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^{1} ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179^{1}–179^{3}, 180-ე მუხლით, 181^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 182-ე, 183-ე, 187-ე, 187^{1}, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^{3}, 196^{6}, 197^{1} და 197^{2} მუხლებით, 197^{3} მუხლის მე-2 ნაწილითა და 199^{1} მუხლით.

6. 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^{10}, 58^{3}, 86^{1}, 107^{1}–107^{3}, 107^{5}, 108-ე, 114^{1}, 114^{2}, 116-ე–116^{3}, 118-ე–119-ე და 120-ე–123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით

(გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129^{1} მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი დარღვევებისთვის), 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 152^{7} და 152^{8} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 155-ე, 167-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{1} მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)), 174^{15} მუხლით (გარდა ამ კოდექსის 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილისა), 174^{16}, 174^{17}, 176^{1} და 176^{3} მუხლებით, 177-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებისა), 177^{15} მუხლით, 181-ე მუხლით, 181^{1} მუხლის პირველი ნაწილით, 181^{3}, 182^{1}, 182^{2}, 190-ე და 190^{2}–191^{1} მუხლებით.“.

7. 239-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„13. ამ კოდექსის 42^{10}, 45-ე, 45^{1}, 58^{3}, 81-ე, 86^{1}, 100^{2}, 107-ე, 107^{5}, 114^{1}, 114^{2}, 116-ე–116^{3} და 118-ე–123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 150-ე, 152^{7}, 152^{8} და 153^{3} მუხლებით, 153^{6} მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 167-ე, 173-ე, 173^{14}, 173^{15}, 174^{1}, 174^{15}, 174^{16}, 174^{17}, 175^{2}, 176^{1}, 176^{3}, 177-ე, 177^{1}, 177^{15}, 180-ე–183-ე, 190-ე, 190^{2}, 191-ე და 199^{1} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45^{1}, 166-ე და 197^{2} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“.

8. 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. ამ კოდექსის 167-ე, 180-ე, 181-ე, 181^{3}, 182-ე, 183-ე მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების ჩადენისას პოლიციის თანამშრომლებს უფლება აქვთ საქმის განხილვამდე ჩამოართვან იარაღი, აგრეთვე საბრძოლო მასალები, რის შესახებ ოქმში კეთდება ჩანაწერი ჩამორთმეული იარაღის მარკის ან მოდელის, კალიბრის, სერიისა და ნომრის, საბრძოლო მასალების რაოდენობის და სახეობის აღნიშვნით იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართალდარღვევა ჩაიდინა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, ჩამორთმევა, პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა გამოიყენება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში.

9. 295-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. კონფისკაციის შესახებ დადგენილებას აღასრულებს:
ა) აღმასრულებელი – ამ კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას; შინაგან საქმეთა ორგანოს უფლებამოსილი პირი – ამ კოდექსის 167-ე და 180-ე

მუხლებით, 181-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 181^3 და 183^1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისას;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**